<u>**პროექტი**</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში

ცვლილებების შეტანის შესახებ“

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის:

ა) „ა.ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

ბ) „ბ[1]“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბ[2] ქვეპუნტი:

„ბ [2]) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის , თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანი საქართველოს მოქალაქეების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6 000 ლარამდე.“.

მუხლი 2.ეს კანონი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**